№ 111. 1 ივნისი, სამშაბათი. 1866—1882 1 ივნისი, სამშაბათი. № 111

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ი. მუხრანსკის სახლებში, ეზოში ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:
მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ.; [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანი [illegible] 8 კაპ.
თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს [illegible] წერილებს. [illegible] წერილს რედაქცია უკან [illegible].
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.
ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ყოველ-დღიური გაზეთი
„დროება"
პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი.
ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## ტელეგრამმა
(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

გორი, 30 მაისს. ახლად მიცვალებულ გარიბალდის ოჯახს გაუგზავნეს აქედამ რომში შემდეგი ტელეგრამა, რომელიც ოც-და-თხუთმეტის პირისაგან იყო ხელ-მოწერილი:

„პატივის-მცემელნი ხალხთა დიდებულ განმათავისუფლებელისა, ყველა დროების დიდ მოქალაქის ჯუზეპპე გარიბალდისა, თქვენის პირით მთელ იტალიის ერს უცხადებთ, რომ ამ კეთილ-შობილების გენიოსისა და ადამიანის უფლებისათვის დაუღალავ მებრძოლის სიკვდილმა იმგვარადვე დაგვამწუხრა ჩვენ, როგორც შეძრწუნებულია ამ ჟამად მთელი კეთილ-შობილიერი იტალიისა."

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 29 მაისს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომ მომავალ 1883 წლიდამ დაწყებულ იქმნას სულზედ (ფოჩტის) გადასახადის მოსპობა და რამდენიმე წლის განმავლობაში გათავდეს; მთავრობა ამის მაგიერს სხვა შემოსავალს მოსძებნის; 1883 წლიდამ ეს გარდასახადი აღარ გარდახდებათ მეჩხანებს, უმიწა-წყლო გლეხებს და აგრეთვე იმ გლეხებს რომელთაც მხოლოდ მეოთხედი ნადელი მიიღეს.

სახალხო განათლებისა, ფინანსისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელთ კამისიას მიენდო შეადგინონ პროექტი პეტერბურღისა და ოდესის უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტების გახსნაზედ.

პეტერბურღი, 30 მაისს. „გოლოსი" იწერებიან: ფოჩტის (სულზედ) გადასახადის მოსპობის ამბავმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინის ბირჟაზე: რუსის ქაღალდების ფასმა აიწია.

გადაწყვეტილია, რომ შავის ზღვისათვის ორი ახალი ჯავშნიანი ხომალდი უნდა გააკეთონ: ერთი ნიკოლაევში და მეორე სებასტოპოლში.

ვარშ. „ნოვოსტი" გაუგონია, რომ ფაბრიკანტების ყრილობა მოსკოვში 20 ივლისს იქნებაო; ტეხნიკოსების კრება კი აგვისტოს დამდეგს.

„პეტ. უწყებებში" იწერებიან, რომ გოტოვცევის მაგიერად, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად შამშინი ინიშნებაო.

ტერორისტების პროცესში, ბოგდანოვიჩს გარდა, 17 კიდევ სხვა ბრალდებულიც არიან.

## ქუთათური ამბები

ბანკის წევრთა კრება.

სხდომა მეოთხე, 21 მაისს.

392 კაცია, რომელთაც აქვთ 517 კენჭი.

მოგახსენეთ, რომ გუშინდელ კენჭის ყრაში კონსევატორების გამარჯვება „წყლის მდინარების ალმა ცურვა არის მეთქი ნათესავების მეოხებით." ეს კარგად იგრძნეს თვით ბ.ბ. დირექტორებმა და დამფასებლებმა გუშინ საღამოსვე და დღეს დილით. თითქმის ყოველივე და ყველგანა აყვედრიდნენ მათ, რომ არავითარს ლოღიკურს მსჯელობას და საბუთებს ბანკის კრებაში მნიშნელობა არა აქვს, თუ კი ბანკში მოსამსახურე ბატონთ სასარგებლო არ არისო; ამ დალოცვილებს ჩამოჰყავთ, როგორც ამ შემთხვევაში მ. ფალავამ ჰქნა,—სოფლიდამ თავიანთი ნათესავები და ნათესავთ-ნათესავნიო, მარტო იმიტომ რომ ყოველივე მათს პირადს ინტერესს და ადგილზე შერჩენას დაეხმარონ და ყოველივე აზრიან სიტყვაზე, რომელიც მათი პრივილლეგიის დამცველი არ არის, მხოლოდ ერთიღა პასუხი და საბუთი აქვთ: „არ გვინდა, ისევე დარჩეს!" ან და „კენჭმა გაგვასწოროს"!

ამ გვარ საზოგადო ყვედრებამ გავლენა იქონია დირექტორებზე და დამფასებლებზე.

თავსმჯდომარე აცხადებს, რომ დირექტორი ნ. ერისთავი იკლებს თავის ჯამაგირიდამ 300 მან. და თითო დამფასებელი ას-ას მანეთსო. მ ფალავა კი ახლა დირექტორად არ ითვლება და, იმედია, ისიც მიჰბაძავს ამხანაგთ მაგალითსაო... ამასთანავე გამგეობამ საჭიროდ დაინახა მოგახსენოსთ თქვენ, რომ საჭიროა ერთი დამფასებლის კიდევ მომატება, რადგანაც დაფასებისათვის საჭირო მეორე დამფასებელი კომისია ვერ სდგება ხოლმე ერთი წევრის ნაკლებობის გამო... (კრება მადლობას უცხადებს დირექტორს და დამფასებელთ ბევრი დამფასებლის მომატებასაც იწონებს.)

აკაკი სრულიად არ არის მათი მადლობელი ჯამაგირის მოკლებისათვის. თუ ასე ნებავდათ დალოცვილებს, რატომ მაშინ არ მოიკლეს, როდესაც ბ-ნმა ალშიბაიამ მიმართა მათს სულგრძელობასა? ახლა კი მათის მხრით დაკლება საზოგადოებისათვის საჩუქარსა ჰგავს... რაც შეეხება, ერთი დამფასებლის კიდევ მომატებას, ეს არის მხოლოდ უსარგებლო ხარჯის მომატება, მეტი არაფერი. ამდენ ხანს იმას ეჩივოდით, რომ 5 დამფასებელს არაფერი საქმე აქვსთო და მათი შემცირება გვინდოდა; ეხლა მეექვსე კიდევ მოვუმატოთ? ეს შემდეგ ანდაზას მახსენებს: პეტრეზე სთქვეს, რას აკეთებსო? არაფერსო.... პავლეო? მისი თანაშემწეაო!... თუ ასე არის, და თქვენც იცით, რომ ასეა, მაშ სრულიად მეტი ყოფილა მეექვსე დამფასებელი და ნუ ინებებთ მისს მომატებას...

თ. ვარლამ ერისთავი თხოულობს წაიკითხონ რამდენი დაფასება მოხდენილა სულ დამფ. კომმისიისაგან, რამდენი დაუფასებია თითო მათგანს და სად.

ჰკითხულობენ. ცხადად სჩანს ამ კითხვიდამ, რომ დამფასებელს არა თუ ბევრი, ცოტა საქმეც ჰქონებია და დამფასებელთ რიცხვის შემცირება თუ არა, მომატება მაინც სამართლით ყოვლად შეუძლებელია...

რამდენიმე წევრი ეკითხება ხან ზედამხ. კომიტეტს, ხან დამფას. კომისიას, „თქვენ-და-თქვენი ღმერთი, სინიდისით გვითხარით—საჭიროა მეექვსე დამფასებელიო? კომიტეტის უმრავლესობა და კომისიის წევრი თ. იასონ ბელოვანის სიტყვებიდამ ცხადად სჩანს, რომ მეექვსე დამფასებლის მომატება და მითი ბანკის ხარჯის გადიდება სრულიად მეტია და უსარგებლო... მაგრამ ოდიშელებს მაინც უნდათ დააყენონ ეს ბედ-შავი მეექვსე დამფასებელი, რადგანაც იმედი აქვთ მათგან დავალებულ გამგეობისაგან იმდენის პატივისცემისა, რომ ეს ახლად დანიშნული „უსაქმურის თანაშემწე" მეგრელი იქნება..

ჩოჩქოლი „მოემატა". „არა, არა!" თავსმჯდომარე აცხადებს, რომ ამ საგანზე დღეს არ იქნება მოლაპარაკება ხვალისათვის იყოსო.

შემდეგ შეადგინეს და ცოტაოდენი უმნიშვნელო ბაასის გამო დაამტკიცეს ბანკში მოსამსახურეთ ჯამაგირები.

შემდეგ თავსმჯდომარემ წაიკითხა, რომ ზედამხედ. კომიტეტის წევრთ სხდომებზე დასწრებისათვის 1,000 მ. ხედათო. ერთი წევრი ბ. მ. დარახველიძე აცხადებს, რომ ის უარს ამბობს მისს ხვედრს ორიოდე მანეთზე და სწირავს ღარიბ თავად-აზნაურთა მოსწავლე შვილებს (სააზნაურო სკოლაში?)... (მადლობა და ტაში).

ზედამხედვ. კომიტეტის ხელში ყოველ შემთხვევისათვის განკარგულების მოსახდენად ფულების დანიშნვის შემდეგ, სხდომა დაიხურა..

სხდომა მეხუთე, 22 მაისს.

409 კაცია 552 ხმიანი.

დღეს სხდომის გახსნისათანავე უნდა ყოფილიყო საზოგადო საჭიროებათათვის გადადებულ ფულების განაწილებაზე სჯა, მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა... სიტყვას თხოულობს და შემდეგს ამბობს თ. მერაბ ლორთქიფანიძე: ორი წლის წინად „დროებაში" დაბეჭდილი იყო ბ. ვლ. მიქელაძის სტატია, რომელშიაც დალაგებით გამოთქმული იყო ის აზრი, რომ რადგანაც ჩვენს ქვეყანას მიუცილებლად ეჭირვება კარგად ნასწავლი და მტკიცე ხასიათის წინამძღოლი, ამისათვის სამართლიანი იქნება თუ ამ გვარ კაცს, არჩეულს წინამძღოლად დაენიშნებოდეს ბანკის მოგებიდამ 3,000 მან. წლიურ ხარჯად.

მეც, ჩემდა-თავად უნდა მოგახსენოთ, რომ ახლა იმისთანა დროა, რომ სწორედ ერთობ საჭიროა ნასწავლი და ქვეყნის ერთგული მარშალი გვყავდეს. თუ კი ამისთანა დიდად საჭირო კაცს ამოვარჩენთ, იგი დიდ-ღვაწლს დასდებს ჩვენს ქვეყანას და, აქამდის რომ იყო ისე არ დაგვამადლის:—„ჩემი პურითა და ღვინით გემსახურებითო და მეტზე კი ნურას უკაცრავად, თუ თავი ვერ გავიტეხეო".

მოხსენებულის სტატიის ავტორი თვითონ აქ ბრძანდება და ვსთხოვთ თავისი აზრი უფრო დალაგებით წარმოსთქვაო.

— „ბრძანოს, ბრძანოს"! ისმის ერთხმივი ღრიალი.

თ. ვლ. მიქელაძე. ეხლანდელი დრო, ბატონებო, სხვა დროა, აქამდისებური უზრუნველობა და მხართეძოზე გდება აწ აღარ გამოგვადგება. ქვეყნის ათას-ნაირ საჭიროებამ წამოჰყო თავი და მათ უნდა დაკმაყოფილება. აი ამისთანა დროს მართებს განსაკუთრებითი სიფხიზლე და სიმხნე საზოგადო საქმეში ჩვენს თავად-აზნაურობას! მაშასადამე, საქართველოს საზოგადოდ, და ჩვენი კუთ-

ხას თავად-აზნაურობას კერძოდ, სჭირია კარგი წინამძღოლი. დიაღ, კარგი წინამძღოლი-მეთქი. კარგი წინამძღოლი იმას ჰქვია, ვისაც მიუღია უმაღლესი განათლება, აქვს მტკიცე ხასიათი, იცის ჩვენის ქვეყნის წარსული, აწმყო და მომავალი და აგრეთვე რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობაც... დიდი შრომა სჭირია ჩვენში გუბერნიის თავად-აზნაურთ წინამძღოლს, ბევრად უფრო დიდი, ვიდრე რუსეთში აზნაურთა წინამძღოლებს... რუსეთში არ არის იმოდენი ელემენტი თავად-აზნაურობისა როგორც ჩვენში. ჩვენს თავად-აზნაურობას დიდ-ძალი ჰირნახული მიუძღვის ქვეყნისა და მმართებლობის წინაშე. თუ კი მას ეყოლა განათლებული და გაბედული წინამძღოლი, მისს მართალს სიტყვას ქვეყნის ბედნიერებისათვის მომართულს ყოველთვის შეიწყნარებს ხელმწიფე და მისი მმართებლობა. გაიხსენეთ, ბატონებო, რა დიდ-ძალი ადგილ-მამულები, მილლიონებად ღირებულნი, დაეკარგა ჩვენს ქვეყანას და ჩვენი (გუბერნიის) მარშლებს ხმა არ ამოუღიათ, ხმა, რომ ის საგანძე— ადგილ-მამულები ქვეყნისათვის არ დაეკარგა და შეერჩინათ!..

ამდენ ხანს მარტო გვარიშვილობას და პურ-ღვინის კაცს ვნიშნავდით ამ ადგილზე, რომელსაც დღეს ასე დიდი მნიშვნელობა აქვს.

გვარიშვილობა და პურ-ღვინოც ორივე კარგია, მაგრამ ორივეს სჯობია ქვეყნის საჭიროების დაკმაყოფილება, ჩვენის ინტერესებისათვის ზრუნვა. მივმართოთ ჩვენ სინიდისს და კაცურ-კაცობას და ამოვირჩიოთ აწ, მაინც ნასწავლი და მტკიცე ხასიათის კაცი! მხოლოდ თუ ამ გვარ კაცს საშუალება ნაკლები დაურჩა, დაუნიშნოთ მას ბანკის მოგებიდამ 3,000 მ. წელიწადში. ეგ სამასი თუმანი ერთი თქვენი დირექტორის ჯამაგირია და კარგი მარშლის ყოლა კი არც ერთს კეთილ საქმეზე ნაკლები არ არის... („ბრავო")!

წინაალმდეგი უნდა სთქვას ზედ. კომიტ. წევრს მიხ. დარახველიძეს, მაგრამ კრება ნებას არ აძლევს... ატყდა ჩვეულებრივი ხმაურობა...

ანტ. ლორთქიფანიძე მეგრელების ყურადღებას აქცევს იმ მოვლენაზე, რომ მათი თავად-აზნაურობა ჯერაც არ არის თავის წოდებაში დამტკიცებული, მაშინ როდესაც დანარჩენი საქართველოს თავად-აზნაურობა დიდიხანია ცნობილია კანონისაგან. ეს იმიტომ მოხდა, რომ აქამდის იმერეთის მარშლები არ ზრუნავდენ იმათთვის. ეხლა კი, თუ ისინი დაეთანხმებიან იმერლებს მარშლისათვის ჯამაგირის დანიშნვას, უნდა ესენი ამოირჩევენ კარგს წინამძღოლს, რომელიც ეცდება მეგრელ თავად-აზნაურობის დამტკიცება დააჩქაროს და მათ შემოუერთოს დანარჩენ იმერეთს (ძალიან კარგი!)

ბ. ლოლუა. თუ ჩვენი გუბ. წინამძღოლი იმისთანა იქნა, რომ, როდესაც ქვეყნის საჭიროება კარზე მოგვადგება, ის სხვას დაუწყებს ხვეწნას „შენი ჭირიმე გვასწავლე რა ვქნათ და როგორა",—ეგ ჩვენი უბედურება იქნება. თუ წინამძღოლს თვითონ არ ესმის, შეიძლება მრჩეველისაგან, მეტადრე უცხო ქვეყანაში თუ იქნა, მოტყუილებული დარჩეს და იმისთანა რამ მოიმოქმედოს, რომ ჩვენთვის დიდად მავნე გამოდგეს. ამორჩეული იქმნას იმერეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლად რიგიანი კაცი და დაენიშნოს 3,000 მანეთის წელიწადში! (კარგი!)

ხმაურობა და დას-დასად ჩურჩული შეიქნა.

თავმჯდომარემ დადგა ყუთი და დაადგინა შემდეგი გადასაწყვეტი საგანი: „გადაიდვას ბანკის მოგებიდამ 3,000 მ. ყოველ წლობით გუბერნიის მარშლისათვის, უკეთუ ამ თანამდებობაზე ამორჩეულ იქნება უმაღლეს სასწავლებელში სწავლა მიღებული კაცი, თუ არა და ისევ დაგვიბრუნდეს სხვა საზოგადო საჭიროებისათვის მოსახმარად."

ვისაც უნდოდა ამ ფულის დანიშნვა, თეთრში უნდა ჩაეგდო, ვისაც არა შავში. უმრავლესი მოშავეთაგანი ეხლანდელ გუბ. მარშლის მომხრენი იყვნენ; ამათაგან არავის თეთრში არ ჩაუგდია.

როგორც იცით, ამოვიდა 326 თეთრი და 118 შავი. ამ შედეგით თ ნ. წერეთლის მოწინაალმდეგენი ზნეობით გამარჯვებას დღესასწაულობენ და იმედი აქვთ მალე, ღვთისა და ყოველ გონიერი კაცის შეწევნით, ლელოც მათი იქმნეს....

## შენიშვნა

რადგანაც დღეს საყოველთაო ყურადღების ღირსად და სალაპარაკო საგნად არის გარდაქცეული ზოგიერთა თავად-აზნაურთაგან შეტანილი პროტესტი, ამ უკასასკნელ თავად-აზნაურთა ამორჩევის დროს კანონების დარღვევაზედ, ამისთვის არ იქნება ურიგო ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ამ საგანზე.

შესაძლებელია, რომ ეს კანონების დარღვევა უწინდელ ამორჩევებშიაც ხდებოდა; მაგრამ დღემდის არც ერთ აზნაურს ამ უკანონობაზედ არ მიუქცევია ყურადღება, არავითარი პროტესტი არ შეუტანია უმაღლეს მთავრობასთან, თუმცა ეს უფლება მას კანონათა აქვს მინიჭებული; დღეს კი მეკვნჭეების ერთ მესამედზედ მეტმა შეიტანა პროტესტი.

ამ პროტესტის შეტანა, ჩემის აზრით, შეიძლება აიხსნას იმ გულმხურვალე მონაწილეობით, რომელიც წლევანდელმა კრებამ მიიღო ყრილობაში.

ნამდვილად შემიძლია ვსთქვა, რომ ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ არ გვინახავს, რომ თავად-აზნაურობა ასე გულ-მხურვალედ მოკიდებოდეს საზოგადო საქმეს, რომ ამისთანა სიცოცხლით სავსე ყრილობა ყ ფ ლიყოს.

წელს კი თუ ეს მოხდა, ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ იმ ტფილისის გუბერნიის ყმაწვილ-კაცობას რომელთაც ყრილობებში მიიღეს მონაწილეობა.

დღემდის ახალი თაობა სულ სხვა შეხედულების იყო ამ საგანზედ, თითქო არც კი სთვლიდა ამას ჯეროვან ყურადღების ღირსად, იმათის აზრით თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს ის მნიშვნელობა არა ჰონია დღეს, როდესაც საზოგადო კრებამ გარდაწყვიტა საყურადღებო საგნებზე შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობასთან, როგორც მაგ. ქართული ენის რიგიან გზაზე დაყენება ყოველს აქაურს სასწავლებლებში, ერობის შემოღება, ბ.მიჯვნა და სხვა ამ გვარების.

ამ ნაირად, ჩვენი ყმაწვილ-კაცობა თითქო დღეს მიხვდა თავის შეცდომას, რომ მონაწილეობას არ იღებდა აქამდინ თავად-აზნაურთა ყრილობებში, და თუმცა ცოტა გვიან, ამოიღო ხმა წლევანდელ კრებებში, და ამითი თითქო გააცოცხლა იგი კიდეც.

ამიტომაც, ყველა ამ მოთხოვნილებათა შუამდგომლობისთვის, რომელნიც წლევანდელმა კრებამ ასე გულ-მხურვალედ და აღტაცებით მიიღო, როგორც ყმაწვილ-კაცობამ, ისე დანარჩენმა ზოგიერთ თავად-აზნაურებმაც ისურვეს თავის წარმომადგენლად იმისთანა პირი, იმისთანა შუამდგომელი, რომელიც სულითა და გულით სცდილობდეს ამ საქმის სისრულეში მოყვანისათვის და არა იმისთანა, რომელიც წინაალმდეგი იქნებოდა თავად-აზნაურთა მოთხოვნილებისა.

ჩვენდა სამწუხაროთ წლევანდელ ამორჩეულ ჩვენ წინამძღოლებში ორის მეტს ვერ ვიცნობთ იმისთანას, რომ ამ საქმეისათვის მაინცა-და-მაინც დიდათ თავი შეიწუხონ.

აქედამ ცხადია, რომ არავის არა აქვს ნება ვანაცხადოს რაიმე საყვედური იმ პირებზე, რომელთაც პროტესტი შეიტანეს, რადგანაც აქ პირადობა, გარწმუნებთ, არავის ჰქონია სახეში, არამედ მხოლოდ საქმე და საზოგადო სიკეთე.

ჯერ-ჯერობით ჩვენი პროტესტისა ნამდვილი არა ისმის-რა; მაგრამ სრული იმედი გვაქვს, რომ უმაღლესი მთავრობა არ დააგდებს იმას უყურადღებოთ.

ერთი მეკვნჭე თავადთაგანი.

## დღიური

გუშინდელს დღისათვის, კვირისათვის, დანიშნული წლიური სხდომა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა" ვერ შესდგა, რადგან კრებაზე არ მოვიდა ორმოც-და-ათი წევრი, რომელსაც საზოგადოების წეს... დება მოითხოვს.

ამის გამო ხელ-ახალი კრება ა... საზოგადოებისა დანიშნულია მომავალ... კვირის, 6 ივნისისათვის და ეს კრება... რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კა... ნონიერად ჩაითვლება.

* * *

ამას წინათ რუსულ გაზეთებში იწერებოდნენ, რომ გრაფ ლორის-მელიქოვს რაღაც უმაღლესს თან... მდებობას აძლევენო. ახლა ერთი გა... ზეთი გვაცნობებს, ამბობენო, რომ გრაფი მინისტრების კამიტეტის თავ... მჯდომარედ ინიშნებაო.

ამავე გაზეთების სიტყვით, გრ... ლორის-მელიქოვი ამ მოკლე ხანში სამზღვარ-გარეთ მიდის საზაფხულოდ, ზამთარში ისევ პეტერბურღში და... ბრუნდება და მთელ ზამთარში იქ და... ყოფსო, სახლიც უკვე დაიქირავაო.

* * *

ხელმწიფე იმპერატორის გვირგვი... ნის კურთხევა, 24 აგვისტოს კი არა, როგორც ადრე იწერებოდნენ, 30 აგვისტოს იქნება, ე. ი. იმავე დღე... რა დღესაც იმპერატორის ალექსანდ... რე მეორის გვირგვინის კურთხ... იყო.

* * *

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნო... მერში იბეჭდება პირი იმ ტელეგრა... მისა, რომელიც გორის განათლებულ... ახალგაზდობას გაუგზავნია ახლად-მი... ცვალებულ გარიბალდის ოჯახის... თვის.

ჩვენ შევიტყეთ აგრეთვე, რომ ა... დღეებში აქაურ იტალიენელებისა და... ზოგიერთ ქართველების თაოსნობით... კუკიის კათოლიკე ეკკლესიაში გადა... დილი იქნება გარიბალდისათვის პანა... შვიდი, ამასთანავე ამზადებენ დაფნი... გვირგვინს და აპირებენ აგრეთვე ტე... ლეგრამის გაგზავნას რომში იმის შვი... ლების მენოტტისა და რიჩიოტ... სახელობაზედ.

ვინც იცის-რა კაცი იყო გარიბალ... დი, ვისაც ერთი მეათედი მაინც არ... გაუგონია იმის მოღვაწეობისა იტა... ლიისა და საზოგადოთ ყველა და... რულ ხალხთა თავისუფლებისათვის,— ის დაგვეთანხმება, რომ ამ გვარი თა... ნაგრძნობის გამოცხადება ,მისთანა... დიდებული კაცისა საქები და მოსაწო... ნი საქმეა.

* * *

ამ დღეებში ქალაქში გავრცელ... ხმა; რომ მთავარ-მმართებელმა თ... დონდუკოვ-კორსაკოვმა შეიწყნა... ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ თა... ვად-აზნაურთაგან წარდგენილი პრო... ტესტი ამ მაისის კრების უკანონობა... ზედო . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . მაგრ...

...ვა ჯერ-ჯერობით რა გამართლებულა, ოფიციალურად არა არის-რა გამოცხადებული, თუმცა ზოგიერთს იმედი კი აქვს, რომ ხსენებული პროცესი შეძყნარებული იქნება.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი „მოთხრობანი“—კარგა სქელი წიგნი და ლამაზად დაბეჭდილი, შნოიანად გამოცემული. სანამ თვითონ ამ წიგნზე რასმე ვიტყოდეთ, მოვიყვანოთ იმის შინაარსი. მთელი წიგნი სამს მოთხრობას შეიცავს:

„ლეიტენანტის ლემლეის თავგადასავალი“ ალ. ლორთქიფანიძისაგან ფრანცუზულიდამ ნათარგმნი მოთხრობა ქლემენტ კარაგელისა.

„ინგლანდიელი ქვრივი“ — ვალტერ სკოტტის მოთხრობა, თარგმანი. ანასტ. თუმანიშვილისაგან და.

„შპაისტრელდი“—შიდის მოთხრობა, თარგმ. ეკატ. ბაბაშვილისაგან.

* * *

ჩვენი ეკკლესიების ძარცვის საქმე სწორედ საარაკო რამ გახდა. შვიდი წელიწადია ხევსურები სდევენ ხახმატის წმინდის გიორგის ეკკლესიის გაქურდვას, რომელსაც სუთასი-თუმნის ვერცხლეული დაჰკარგვია ვახტანგ გორგ-ასლანიდამ მოყოლებული აქამომდე შეწირული. ამ საქმეზე გამოძიება იყო ერთხელ დაწყებული და უნაყოფოთ გათავდა.

ახლა, წელს, მარტში კიდევ განახლეს ხევსურებმა თხოვნა, ახალი საბუთები შეიტანეს ეგზარხოსთან და გუბერნატორთან, მოწმეებს დაჰკითხვით, და როგორც ამბობენ, ეხლაც ცოცხლები დარჩენილან რადგანაც ტფ. ოლქის სასამართლოის პროკურორს საკმაო საფუძველი ვერ უნახავს გამოძიების განახლებისათვის.

* * *

ჩვენ გვითხრეს, რომ ყოვლად სამღვდელო გურიის ეპისკოპოსს ალექსანდრეს, რომელიც საბა-სულხან ორბელიანის ქართულ ლექსიკონს აბეჭდინებს ამ ქამად, ამის დაბეჭდვის შემდეგ განუზრახავს ორი სხვა წიგნის დაბეჭდვა: ა) იოანე პატრიწისაგან მე-XI საუკუნეში შედგენილის ლექსიკონისა და ბ) „გრდემლი“ ანუ საქართველოს საეკკლესიო ისტორია ბესარიონ კათოლიკოზისაგან შედგენილი მეთვრამეტე საუკუნის დამლევს.

ეს ორივე ზემოხსენებული ძველი წიგნი ამ ქამად იპოვება დავით გარეჯის ეკკლესიის წიგნთ-საცავში.

## ქართული ისტორია *)

ეს ნაამბი აღბეჭდილია იმავე თვისებით, რომელიც წინათაც შევნიშნეთ. იმაში ნამდვილი ფაქტი და ზღაპრული გარდამოცემა არეულია ერთმანეთში; ერთის დროს შემთხვევა მიეწერება მეორე დროს. აქ ჯერ ეს უნდა ითქვას, რომ ამ ქამის ქრონოლოგია ქართლის ცხოვრებაში უსაფუძვლოა. მირიანის წინა-მოადგილე ასფაგური, რომლის დროსაც, იმის თქმით, არდაშირი სასანიდი ჰფლობდა სპარსეთს, მეფობდა საქართველოში 262—265 წლამდე, მაშინ როდესაც არდაშირი მეფობდა 226—235 წლამდე; მაშა სადამე, არდაშირი მოკვდა 26 წლით ადრე ასფაგურის ასვლისა ტახტზე. თვით მირიანი მეფობდა 265—342 წლამდე. ქართლის ცხოვრება პირველ სასანიდს არდაშირს უწოდს ქასრედ და ამ სახელით სახელ-სდებს, „იმის ძიდამ“ მირიანიდამ დაწყობით მთელს საქართველოს დინასტას ხოსროიანებათ ანუ ხოსროიდებათ. არდაშირს უცხო-ტომთ მწერალნი არ მოიხსენებენ ქასრედ; მაგრამ ეს კია, რომ სპარსეთის ისტორია ზოგიერთს იმის დინასტიის წევრთ უწოდს ქესრად. შესაძლებელია, რომ მირიანი იყო სასანიდთაგანი, რომ ის საქართველოს მეფეთ დაუსვამს სპარსეთის ხელმწიფეს თავის გავლენის დასამყარებლათ კავკაზიაში, რომ მირიანი განაგებდა სომხეთს, რომელიც ხოსრო დიდის სიკვდილიდამ ტირდატის ვამეფებამდე, 27 წ. განმავლობაში, უმეფოთ იყო დარჩენილი და ტირდატისაგან განდევნილ იქნა. შესაძლებელია, რომ მირიანს ჰყვანდა სპარსეთში ძმა ბარტომი, თუმცა უეჭველია ისიც, რომ არდაშირის მემკვიდრეთ იქ დაჯდა 238 წ. იმისი შვილი შაბური პირველი, რომელსაც მოწინაალმდეგე არავინ გამოსჩენია. საკვირველია, რომ მირიანს არ მოიხსენებენ უცხო-ტომთ მწერალნი, გარდა მოსე ხორენელისა. მოსეს თქმულებაც მირიანის გამო სრულებით ეწინააღმდეგება ქართლის ცხოვრებას. მოსე ჰხადის მირიანს ანუ „მიჰლრანს, იბერთ მმართველს და გუგარცის ბდეშხს“. ტირდატის ქვეშევრდომთ, მოსეს თქმით, მიჰლრანი წინამძღომელობდა ტირდატის ჩრდილო-სპათა, მონაწილეობდა იმის ბრძოლაში სპარსეთთან და ამ ბრძოლაშივე მოიკლა. მოსე მოიხსენებს გაკვრით ტირდატის მონაწილეობას პრობუსის ბრძოლაში გუთებთან ანუ გოთებთან. გოთებს ჰხადიან ინდო-ევროპიელებად. იმათი ენა თავის ლექსიკონით და გრამატიკულის აგებულებით მიემსგავსება ნემეცურს და სპარსულს. ძველათ გოთნი დამყარებულნი იყვნენ სკანდინავიაში და შვეციაში. შემდეგ, სამის საუკ. წინ ქრისტეს შობამდე, იმათ დაუჭერიათ სამხრეთ აღმოსავლეთი ნაპირები ბალტიის ზღვისა და აქედამ გაბნეულან გერმანიისკენ და შავის ზღვისკენ, საიდამაც ხშირად თურმე დაესხმოდნენ დუნაის მხარეებს. იმათ ისე შეარყიეს რომი, რომ რომის იმპერატორებს ხარჯით უნდა მოესყიდათ იმათი მშვიდობიანობა, რომელსაც იგინი ყოველსავე შემთხვევაში არღვევდნენ. ვალერიანის და გალლიანის დროს გოთებმა გაიარეს ჰელლესპონტი, ააოხრეს მცირე აზია, დასწვეს მდესის ტაძარი და შეცვიდნენ თვით კაპადოკიაში. თითქმის ყოველს რომის ბრძოლაში სპარსებთან აუცილებელი იყო იმათი მონაწილეობა, რომელსაც ხან ერთ მხარეს აძლევდნენ, ხან მეორეს. გოთებში გავრცელდა ქრისტიანობა. მცირე აზიიდამ და მეტადრე კაპადოკიიდამ ტყვეთ გაყვანილთა. ერთმა იმათგანმა, გოთის ეპისკოპოზმა ულფილამ, ნათესავით კაპადოკიელმა, შეასუსტა იმათში კერპთ-მსახურება მოარბილა იმათი ზნეობა და მისცა მათ ანბანი, რომელიც მიემსგავსება ბერძნულს და ლათინურს და მიღებულ იქნა სხვა გოთების მონათესავე ტომთაგანაც. ულფილამვე გადმოსთარგმა გოთურ ენაზე ძველი მცნება. გარდა ამისა გოთებს ჰქონდათ ისეთი სამოქალაქო წყობა, რომელზედაც შემდეგ დამყარდა გერმანიელების სჯულ-დება.

ქართლის ცხოვრება მირიანის დროს ხშირად მოიხსენებს ერთს ჩრდილო ტომს ხაზარებს. ვინ იყვნენ ხაზარნი, რა დროდამ არიან ცნობილნი, სად ბინადრობდნენ, ამაზე ჩვენ ზევით ვთქვით. ამ ტომზე ჩვენ მატიანეს სრულებით ეთანხმება უცხო-ტომთ თქმულება. ქართველებისა და სომხების გარდა ხაზარებს მოიწვევდნენ რომაელნი და სპარსნი ურთი-ერთს ბრძოლაში და თვით იგინი, როდესაც უსაქმოთ შთებოდნენ, ხან აქა სცემდნენ, ხან იქა. ხაზარნი საშიშნი იყვნენ უფრო სპარსეთისათვის, რადგანაც იმათი მოხერხებული გზა სპარსეთის საზღვარს დასცქეროდა. ის მიემართებოდა დერბენტის მხარეს და უფრო „ფართო“ და ადვილათ გასავალი იყო, სანამ ჩვენი ხევის-კარი ანუ დარიალნი. ქართველების „დარუბანდის კარი“ უცხო-ტომთაგან დიალ ცნობილია. იმას უწოდნენ: რომაელნი *Pyloe Caspiae*, სომხები ჩოგ ანუ ჩორ, ბერძნები—ჰურ. დერბენტის შესავალში ამართული იყო ვრცელი ციხე-სიმაგრე, რომელიც სომხებისაგან ისახელებოდა ვარიჟარახათ ანუ იბერიის ზღუდეთ. ის უნდა იყოს „კავკაზის კედელი“, რომელიც აქამომდე მისდევს, როგორც გვარწმუნებენ, 360 ვერსზე და დერბენტიდამ მოყოლებით ერთის მხრით გადადის კავკაზს იქით, მეორის მხრით შედის საქართველოს საზღვარში. უეჭველია, რომ „კავკაზის ზღუდე“ არის აშენებული სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა ტომთაგან. „საქართველოს მეფეებს— გროსსეს შენიშვნით—ხშირად ჰქონდათ ომიანობა დერბენტის მხარეში და იმათი სარგებლობა მოითხოვდა, რომ გასავალი ჩორისა ანუ ძურისა იმათ დახშული და დაცული ჰქონიყოთ“. დერბენტის ციხე-სიმაგრეზე დიდი ყურადღება იყო მიქცეული რომაელთაგან და მეტადრე სპარსთაგან. როდესაც იყო სპარსების ხელში, იგინი დიდ-ძალის გარნიზონით იცავდნენ იმას ხაზართ შესაკავებლათ.

ტირდატის ბრძოლა მირიანთან შესაძლებელ საქმეთ უნდა მივგაჩნდეს, თუ მხედველობაში ვიქონიებთ მაშინდელს ქვეყნის მდგომარეობას: რომი და სპარსეთი ერთი მეორეს ეცილებიან. რომი ექომაგება ტირდატს, რომელიც რომაელების შემწეობით ცდილობს სომხეთის დაჭერას. სპარსეთი ექომაგება მირიანს სასანიდს. რომაელნი და სპარსნი ამ შემთხვევაში ეძებენ თავის სარგებლობას. ესე იგი ორივე მხარე ცდილობს საკუთარის გავლენის გავრცელებას აზიაში.—ქართლის ცხოვრების თქმულება სპარსეთის მეფის ბრძოლაზე კონსტანტინე დიდთან ისტორიული სიცრუეა. ჯვარის წარძლომა „ღვთის-მსახურით კაცთ რჩევით,“ დამარცხება სპარსეთისა და შემდეგ კონსტანტინესაგან ნათლის-ღება სხვა და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა მეფობის შემთხვევაა. ჯვარის ძალით სძლია კონსტანტინემ თავის მტერს, მაგრამ ეს მტერი იყო მაქსენცი და არა სპარსეთის მეფე. კონსტანტინემ ნათელ-იღო ბევრით შემდეგ ქართლის ცხოვრებისაგან ჩვენებულ დროზე, ესე იგი თავის სიკვდილის წინათ. გარდა ამისა, არც კონსტანტინე დიდს, არც იმის პირველ შვილს კონსტანტინე მეორეს არა ჰქონიათ ბრძოლა სპარსეთთან. თუმცა ეს უკანასკნელი ემზადებოდა საბრძოლველათ, მაგრამ ამ მზადების დროს მოკვდა. ეს ბრძოლა იწყო მხოლოთ კონსტანტინე დიდის მეორე შვილმა კონსტანციმ. შესაძლებელია, რომ ამ ომში მიემხრო ქართველი მეფე სპარსეთს და შემდეგ, როდესაც გარემოება შეიცვალა და ამის გამო იმან მიჰკერძა კონსტანცის, კოსტანციმ დაამოყვრა ისა ტირდატს. ამ დროს ჩვენს მატიანეში მოხსენებულია მირიანის ძე ბაქარი, ვითომც კონსტანტინესაგან მძევლათ გაყვანილი. იმის თქმით, შემდეგ ქრისტეს აღსარების მიღებისა მირიანისაგან, „კეისარმა კონსტანტინემ ვამოუგზავნა იმას ძე ბაქარ ნიჭითა დიდითა.“ ეს იყო ის ბაქარი, რომელიც მირიანის მოადგილეთ დაჯდა საქართველოში და მეფობდა 342 წლიდამ 364 წლამდე. აქ უნდა ვთქვათ, რომ არც ბაქარის მძევლობაზეა ქართლის ცხოვრების გარდამოცემა შესაწყნარებელი. თუმცა ბერძნების ისტორია მოიხსენებს „იბერიის მეფის ძეს ბაკურის“, მაგრამ ცხადია, რომ ის სხვა ბაქარი უნდა იყოს. ისტორიკოზს რუფინს გაუცვნია იერუსალიმში ბაკურისი, რომელსაც იმისთვის უამბნია ქრისტეს სჯულის დამყარება საქართველოში. რუფინის მოწმობით, ბაკურისი ყოფილა დიალ ყმაწვილი, როდესაც ნინოს უქადაგნია ჩვენში ახალი მცნება. განდევნილი საქართველოდამ შინაურის აღრეულობის გამო, ბაკურისი გასულა საბერძნეთში და იქ იმისთვის იმპერატორს თეოდორეს მიუნიჭებია სასახლის მსახურთუხუცესობა და პალესტინის გამგეობა. ბაკურისი მოკლულა 394 წ., მაშინ, როდესაც ბერძნების ჯარით თურმე

*) იხ. „დროება“ № 109.

ებრძოდა ტირანს მეგენის. იმის ახოვანებას დიდის ქებით იხსენიებენ იმ დროის ბიზანტიის მწერალნი.

დიმ. ბაქრაძე.

(გაგრძელება)

## ტფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

ქალაქის

## გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა, უმაღლესად დამტკიცებულის საქალაქო წესდების 17 და 22 მუხლების ძალითა და ამა წლის 3 მაისს დადგენილის ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილების თანახმად, სთხოვს ბ.ბ. სახლის-მეპატრონეებს, რომელთაც ჰსურსთ მომავალს ქალაქის ამორჩევებში, **1883—1886** ოთხის წლისათვის, მონაწილეობა მიიღონ,—შემოიტანონ ქალაქის კასსაში უეჭველად ამ წლის **1** ივლისამდინ ყველა გარდაუხდელი დასაფასებელი ხარჯი (ნედოიმკები), რაც კი იმათ მამულებზე ითვლება (**ОЦѢНОЧНЫЙ СБОРЪ**).

ამასთანავე ქალაქის გამგეობა საჭიროდ რაცხს ამ თავითვე გამოაცხადოს, რომ ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადამდინ არ შემოიტანენ ყველა ხარჯს უნაკლულოდ, რაც იმათ მამულებზე ითვლება, გამორიცხულნი იქნებიან ამორჩევით სიიბიდამ, ე. ი. ამათ უფლება აღარ ექნებათ, რომ მომავალ კენჭის-ყრაში მონაწილეობა მიიღონ. (3—3)

სომეხთ ნერსესის მოწაფეთა რჩევაში, სასულიერო სემინარიაში, ივნისის 2-ს საღამოს 8 საათზე იქნება მეოთხე გაჭრობა (ტორგი, უპერეტორჟკოთ) ადრინდელ ნერსესიან სემინარიის ზემო ეტაჟის იჯარით გაცემაზედ; ეს ეტაჟი შესდგება ერთის საკონცერტო ზალისაგან და თერთმეტის ოთახისაგან თავის კარიდორით. (3—2)




(6—4)

ბოლგარულ-ინგლისური გუთანი გოვარდისა მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ თ. ა. პეპინოვისაგან, რომელიც არის აგენტი ბ. გოვარდისა.

კანტორა პეპინოვისა არის ტფილისის ქალაქში, არწრუნის სახლში, დვორცოვის ქუჩაში. (6—3)

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ისყიდება ვაზის ავადმყოფობის „ნაცარის“ წამალი

## გოგირდი

ფასი, ფუთი—2 მან. და 50 კაპ. აქვე ისყიდება აგრეთვე საბერველები ამ გოგირდის ვაზზე მოსაყრელად, თითო თითო მანეთად. (7—7)

კერძო სასწავლებელი კლიუჩარევისა და ზაგუმენაგოსი (ადრინდელი ტერ-აკოფოვისა) ამ თავითვე იღებს ყმაწვილებს, რომელთაც არ იციან ან თუ იციან ცოტათ რუსული ენა, ამ ენაზედ ვარჯიშობისათვის და პირველ დაწყებათი სწავლისათვისაც.

ადრესი სასწავლებლისა: სოლოლაკი, ბაღის ქუჩა № 38 (6—5)

ისყიდება

ტფილისის წიგნის მაღაზიებში ...ლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной Грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძის მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

იგავ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისაგან გადმოქართულნი თ. რ. ერისთავის.

# ქალაქის გამგეობისაგან

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქალაქის რჩევამ მომავალ ოთხის წლის 1883-1886 წლის კენჭის-ყრისათვის დაადგინა შემდეგი გარდაწყვეტილება ამა 1882 წლის 3 მაისს.

1). ამა წლის 1 ივლისისათვის ამორჩევითი სიების შედგენა უეჭველად გათავებული იყოს;

2). საზოგადო მამულების მონაწილეთ მიეცესთ უფლება 1 ივლისამდინ გამოუცხადონ ქალაქის უპრავას (გამგეობას), რომ იმათ მონაწილეობა აქვსთ საზოგადო მამულში და აგრეთვე ისიც—თუ რამდენი წილი ერგებათ იმათ მამულში, თუ ეს არ ექმნა გამგეობას წერილით გამოცხადებული, ამ შემთხვევაში მამულის ხარჯს (დასაფასებელ გადასახადს) გამგეობა თანასწორად გაჰყოფს საზოგადო მამულის ყველა მონაწილეებზე, თუ კი იცის ამ მონაწილეების რიცხვი;

3). ამომრჩეველთ დანდობილ პირებმა, ვექილებმა და აგრეთვე მცირეწლოვან ამომრჩეველთა აპეკუნებმა ამორჩევით კრების შვიდის დღით წინ უნდა წარუდგინონ ქალაქის თავს: პირველთა (ე. ი. ვექილებმა) გერბის ქაღალდზე დაწერილი ვექილობა (შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარული ბრძანება, 1876 წ. 26 ნოემბერს, № 10766), რომელიც ნოტარიუსისაგან უნდა იქნეს შემოწმებული, თუ ქალაქის გამგეობამ არ იცის ხელის მომწერის ხელი და მეორეებმა (ე. ი. მცირე-წლოვან ამომრჩეველთა აპეკუნებმა) უნდა წარადგინონ ქალაქის გამგეობაში საპეკუნო დაწესებულების (სასამართლოს) განკარგულება, რომ ისინი ნამდვილად დამტკიცებულნი არიან აპეკუნის წოდებაში. როგორც ვექილები, აგრეთვე აპეკუნები და ამათი მრწმუნებელნი ერთის ნომრით ჩაიწერებიან ამორჩევით სიებში და ამომრჩეველ კრების სხდომის დღეს ამათი სახელები ზალაში იქნება გამოკიდებული;

4). გამგეობისაგან შედგენილი და დამზადებული ქალაქის ამომრჩეველთა სია გამოცხადებული იქმნება 7 სექტემბერს: ადგილობრივ გაზეთებთან ერთად დაურიგდება დაბეჭდებასავით ქალაქის ხელის-მომწერლებს და ამას გარდა ეს სიები აკრული იქმნება ქალაქის რჩევის ზალაში.

5). ვისაც ამ სიების უკანონოდ შედგენაზედ რაიმე საჩივარი ექნება გამოსაცხადებელი, ეს საჩივარი შეუძლიანთ შეიტანონ ქალაქის გამგეობაში 7 ენკენისთვიდამ 22-მდინ; შემდეგ კი გამგეობა ამ სიებს ქალაქის რჩევას წარუდგენს დასამტკიცებელად.

ყველა ამას ქალაქის გამგეობა იმ განზრახვით აცხადებს, ყველას, ვისაც კი მომავალ კენჭის ყრასა და ამორჩევებში ხმა აქვთ, თავის დროზე შეეძლოს განცხადების შეტანა ქალაქის გამგეობაში. (3—3)

# „საფრანგეთის“ სასტუმრო

ადრინდელი

„ლ ი ვ ა დ ი ა“

პატრონი ედ. კუნეშელ

ოთახები 80 კაპეიკიდამ 3 მანეთამდინ.

სადილები, 1 მან.: არაყი, საუზმე, 3 თავი სადილი, ½ ბოთლი ღვინო და ყავა. ოთხ-აბაზიანი სადილი: იგივე, მხოლოდ ულვინოდ და უყავოდ.

სადილები პორციებათაც

ბილლიარდი, ამ სასტუმროშივე კლუბია. (5—1)


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Мая 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.